.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N53 ოქმით
განახლებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N150 ოქმით
განახლებულია რექტორის საბჭოს მიერ 2026 წლის N71 ოქმით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის და წახალისების წესი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება ხორციელდება წინამდებარე წესით.

მუხლი 1. ფინანსური წახალისების სახეები

1.1 აკადემია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სტუდენტთა ფინანსურ წახალისებას. სასწავლო ფინანსური წახალისება ხორციელდება ყოველსემესტრულად, მიღწეული შედეგების საფუძველზე და მოქმედებს მომდევნო ერთი სემესტრის განმავლობაში;

1.2 სემესტრული ფინანსური წახალისება გაიცემა ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, წინამდებარე წესით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, და ვრცელდება მომდევნო ერთ სასწავლო სემესტრზე;

მუხლი 2. ფინანსური წახალისების კრიტერიუმები

2.1 ფინანსური წახალისების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის წინა სასწავლო სემესტრში მიღწეული აკადემიური შედეგების საფუძველზე.

2.2 ფინანსური წახალისების მიღებისათვის სტუდენტმა ერთობლივად უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

ა) წინა სემესტრის საშუალო ქულობრივი მაჩვენებელი (GPA) არანაკლებ 4.0;

ბ) სრულად ჰქონდეს ათვისებული პროგრამით განსაზღვრული სემესტრული სასწავლო დატვირთვა (30 ECTS კრედიტი), ხოლო გაცვლით პროგრამაში მონაწილე ან მობილობით გადმოსული სტუდენტის შემთხვევაში - არანაკლებ 25 ECTS კრედიტი შესაბამის/ბოლოს დასრულებულ სემესტრში;

გ) სტუდენტს ყველა სასწავლო კურსში კრედიტი ათვისებული უნდა ქონდეს დასკვნით (და არა დამატებით) გამოცდაზე. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც სტუდენტი საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე და გავიდა დამატებით გამოცდაზე.

დ) მონაწილეობდეს აკადემიის მიერ ორგანიზებულ ან აკადემიის სახელით განხორციელებულ საზოგადოებრივ, სოციალურ, კულტურულ, სპორტულ ან სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში და აღნიშნული აქტივობებით, დანართი №1-ით განსაზღვრული ქულათა სისტემის შესაბამისად, დააგროვოს არანაკლებ 20 ქულა.

სამეცნიერო აქტივობად მიიჩნევა:

- აკადემიის სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა;
- სამეცნიერო ნაშრომის ავტორობა ან თანაავტორობა;
- აკადემიის სახელით სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა ზეპირი ან პოსტერული მოხსენებით.

სოციალურ და სხვა აქტივობად მიიჩნევა:

- სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა;

- საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი მოხალისეობრივი საქმიანობა;
- სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სხვა აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს აკადემიის ცნობადობისა და რეპუტაციის ზრდას.

წინამდებარე დოკუმენტით და მისი დანართით დადგენილი ქულათა სისტემის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) უცხოელი სტუდენტისათვის ფინანსური წახალისების ოდენობა განისაზღვრება 1000 (ერთი ათასი) აშშ დოლარით, რომელიც გამოაკლდება მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურს;

ბ) საქართველოს მოქალაქე სტუდენტი სრულად თავისუფლდება მომდევნო სასწავლო სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისაგან.

ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე პირველკურსელი სტუდენტისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება განისაზღვრება შემდეგი წესით:

მუხლი 3. ფინანსური წახალისების პროცედურა

3.1 სემესტრის დასრულების შემდეგ მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, აკადემიური მონაცემების საფუძველზე, ადგენს იმ სტუდენტ კანდიდატთა სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ კრიტერიუმებს და წარუდგენს დეკანს.

3.2 წინამდებარე დოკუმენტის 3.1 პუნქტით დადგენილი დოკუმენტების წარდგენამდე, მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, კანდიდატ სტუდენტებს, აწვდის ინფორმაციას დამატებითი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულების შესახებ, რომელიც უნდა წარადგინონ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 მედიცინის სკოლის დეკანი მის ხელთ არსებულ სიას, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, წარუდგენს აკადემიის რექტორის საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

3.4 რექტორის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომის ოქმით. წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 4. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მხარდაჭერა

4.1 აკადემია სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ფინანსურ და/ან სხვა სახის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

4.2 სოციალურად მოწყვლად სტუდენტად მიიჩნევა პირი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაციით.

4.3 სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის საკითხების განხილვის მიზნით აკადემიაში მოქმედებს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის კომიტეტი, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება რექტორის საბჭოს მიერ დამტკიცებული ბრძანებით.

4.4 ფინანსური მხარდაჭერა გაიცემა სტუდენტის წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.5 აკადემია აფინანსებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სოციალური გრანტის ოდენობის

არაუმეტეს 30% - ს.

4.6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტებისათვის აკადემია უზრუნველყოფს გონივრული მისადაგების პრინციპის განხორციელებას, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის, შეფასების ფორმებისა და ფიზიკური გარემოს ადაპტაციას, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

4.7 სსსმ და შშმ სტუდენტებისათვის მხარდაჭერის ღონისძიებები განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების საფუძველზე და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

4.8 პერსონალური მონაცემების დაცვა

სტუდენტთა სოციალური სტატუსისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დამუშავდება აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მისი კონფიდენციალურობა.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს აკადემიის რექტორის საბჭო.

5.2 წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის მისი დამტკიცების დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

5.3 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდებაიმავე ფორმით, რა ფორმითაც იგი დამტკიცდა.

დანართი#1

ქულათა სისტემა

სამეცნიერო კვლევითი აქტივობები	**მინიჭებული ქულა**
თსა-ს სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა (აკადემიის მიმდინარე სამეცნიერო პროექტებში დამხმარე პერსონალის სტატუსით მონაწილეობა)	5 ქულა - 1 ღონისძიება
თსა-ს სამეცნიერო ნაშრომის ავტორობა	20 ქულა
თსა-ს სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორობა	10 ქულა
თსა-ს სახელით სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა ზეპირი/პოსტერული მოხსენებით	5 ქულა -1 ღონისძიება

სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები	**მინიჭებული ქულა**
მოხალისეობრივი აქტივობები: სოციალური საწარმო "ბაბალე", ვარდისფერი სივრცე, მოხუცთა სახლი, ბავშვთა სახლი და სხვ.	1 ვიზიტი - 3 ქულა
თსა-ს სოციალური და კულტურული საგრანტო კონკურსის დაფინანსების მოპოვება - პროექტის ავტორები	20 ქულა
სოციალური მნიშვნელობის პროექტების ორგანიზება (მგ. ცნობიერების ამაღლების კამპანიები, საქველმოქმედო ღონისძიებები, საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი აქტივობები, მათ შორის სტუდფესტის ფარგლებში სოციალური კომპონენტი) - პრეზენტატორი, სპიკერი, ორგანიზატორები,	10 ქულა - 1 ღონისძიება

საუნივერსიტეტო ღონისძიებები / აქტივობები	**მინიჭებული ქულა**
ტუტორის სტატუსი	2 ქულა - ტუტორის სტატუსი
ტუტორინგის პროგრამაში მონაწილეობა	თითო სესია - 2 ქულა | ტუტორს შეუძლია დააგროვოს არაუმეტეს 4 ქულა

სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზება (კონფერენცია, ვორქშოპი, სტუდენტური კლუბის ღონისძიება) - ორგანიზატორები	10 ქულა - 1 ღონისძიება
სტუდენტური ღონისძიებები (კონფერენცია, ვორქშოპი, სტუდენტური კლუბის ღონისძიება) - მონაწილეები (სპიკერი, პრეზენტატორი, ორგანიზატორების დამხმარე)	5 ქულა - 1 ღონისძიება
ღია კარის დღეების საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა	5 ქულა - 1 სესია
თსა-ს სახელით მასშტაბურ სპორტულ და კულტურულ პროექტებში მონაწილეობა (მაგ. სტუდფესტი, უნივერსიადა, ოლიმპიადა, ა.შ) ერთ ან რამდენიმე დისციპლინაში მონაწილეობა.	5 ქულა
თსა-ს სახელით მასშტაბურ სპორტულ და კულტურულ პროექტებში მონაწილეობა (მაგ. სტუდფესტი, უნივერსიადა, ოლიმპიადა, ა.შ) - საპრიზო ადგილი	10 ქულა